



## EMC-ის მოსაზრებები „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესის“ პროექტთან დაკავშირებით

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ მხარს უჭერს ღია სხდომაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების სრული სახით ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფას. ევროპული სტანდარტის თანახმად, საქმის განხილვის ღიაობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ზოგად წესს, რომელიც ითვალისწინებს ცალკეულ გამონაკლისებს, შესაბამისად, კონვენცია ადგენს საჯაროობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრეზუმფციას. ღია და გამჭვირვალე მართლმსაჯულების პრინციპი მოიცავს როგორც სხდომების საჯაროობას, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, ის სტანდარტი, რაც სხდომების საჯაროობასთან დაკავშირებით არის დადგენილი, გარანტირებული უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან მიმართებითაც. მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ინფორმაციის ღიაობის პრეზუმფცია, ისევე როგორც გარანტირებულია სხდომების საჯაროობის პრეზუმფცია და ხელმისაწვდომი იყოს გადაწყვეტილებები პერსონალური მონაცემების მითითებით იმ საქმეებზე, რომელთა განხილვა მოხდა ღია სხდომაზე, ხოლო ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც პერსონალური მონაცემების დაცვას უპირატესობა ენიჭება, ამომწურავად განისაზღვროს კანონით. გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც პერსონალური მონაცემების გამჟღავნებით პირს ადგება ზიანი, რაც ინფორმაციის მიღების საჯარო ინტერესს აღემატება. მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს პირს, ვინც თვლის, რომ ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად მას ზიანი მიადგება.

ვინაიდან მიმდინარეობს დისკუსია კანონმდებლობა რამდენად იძლევა შესაძლებლობას გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პერსონალური მონაცემების მითითებით, სათანადო ნათელი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, მიზანშეწონილია განისაზღვროს წესი, რომელიც ნათლად და დეტალურად დაარეგულირებს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის საკითხს. ვინაიდან ამგვარი წესი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და წარმოდგენილ პროექტში არის მნიშვნელოვანი ხარვეზები, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, მის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით წარმოვადგინოთ შენიშვნები.

ზოგადი შეფასების სახით უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროექტში იკვეთება შემდეგი ძირითადი ხარვეზები:

- შეუძლებელია დადგინდეს „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესის“ სამართლებრივი ხასიათი, კერძოდ, გაუგებარია მას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი თუ სამართლებრივად სავალდებულო ძალა. წარმოდგენილი დოკუმენტის ცალკეული ნორმები ფორმულირებულია იმგვარად, რომ მათი შესრულების სავალდებულობას ადგენს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში ის მოხსენიებულია, როგორც რეკომენდაცია.
- წარმოდგენილი პროექტის ცალკეული ნორმები ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე, ხშირია ნორმათა დუბლირების შემთხვევებიც.
- ცალკეულ შემთხვევებში პროექტი არეგულირებს იმ საკითხებს, რაც სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობას უშუალოდ არ ეხება და ხშირად ამგვარი რეგულირება არასრულია.
- პროექტის ცალკეული დებულებები ბუნდოვანი და გაუგებარი ფორმულირებით არის ჩამოყალიბებული, აგრეთვე, ხშირია ფუნქციათა დუბლირების შემთხვევებიც.

კონკრეტული ხასიათის შენიშვნები შეეხება შემდეგ საკითხებს:

### რეგულირების სფერო

მიზანშეწონილია, პირველი მუხლში ზოგადად აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ცხადდება საქვეყნოდ და ყველას აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილების ასლი, ამის შემდეგ კი მიეთითოს გამონაკლისები. ასევე, მნიშვნელოვანია წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებდეს ტერმინთა განმარტებას.

გარდა ამისა, მხოლოდ არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის სრულ ხელმისაწვდომობას, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმებების, ასევე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების გარდა, ასევე გამოქვეყნდეს სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებიც.

### თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი

წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხს სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების დროს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებები იმ საქმეებზე, სადაც მხარეს წარმოადგენს თანამდებობის პირი, უნდა გამოქვეყნდეს ამ პირის პერსონალური მონაცემების მითითებით, რადგან თანამდებობის პირებთან დაკავშირებული სამართალწარმოების მიმართ არსებობს მაღალი საჯარო

ინტერესი და საზოგადოებას აქვს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება მიიღოს ინფორმაცია.

### პირის წინასწარი წერილობითი თანხმობა სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით

წარმოდგენილ პროექტში აღარ გვხვდება ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო დოკუმენტების ფორმებში (სარჩელი, შესაგებელი, სააპელაციო და საკასაციო საჩივრები, სააპელაციო და საკასაციო შესაგებელი) ცალკე გრაფით გათვალისწინებულ შეკითხვას, რათა გაირკვეს პირის დამოკიდებულება პროცესის დასრულების შემდეგ სასამართლო აქტის მისი მონაცემებით გავრცელების მიმართ. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ტექსტის გამოქვეყნებისას პირის პერსონალური მონაცემების დაცვა უნდა მოხდეს პირის მიერ გამოვლენილი ნების მიხედვით.

ამგვარი ჩანაწერი უზრუნველყოფს სამართალწარმოების დაწყებამდე პირის თანხმობის მიღებას მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნების თაობაზე, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამგვარი მუხლი გათვალისწინებული იყოს „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესში.“

### სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

წარმოდგენილი პროექტის მე-8 მუხლი არეგულირებს ერთიან საჯარო ბაზაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების საკითხს. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გადაამოწმოს მიღებულ ელექტრონულ სასამართლო გადაწყვეტილებაში პერსონალურ, კომერციულ და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვის კანონთან შესაბამისობის საკითხი და მხოლოდ ამის შემდგომ უზრუნველყოს გადაწყვეტილების ბაზაში განთავსება. გარდა ამისა, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი კონტროლი, გადაწყვეტილების განთავსება, წაშლის ადმინისტრირება და პროცესის ზედამხედველობა წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებას.

სასამართლო გადაწყვეტილებების საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსებისა და აღნიშნულ პროცესზე სამართლებრივი კონტროლის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის მინიჭება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ამით, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობის ტვირთი ნაწილდება ორ უწყებას შორის და, მეორე მხრივ, ეს გამოიწვევს გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების არაგონივრულ დაყოვნებას. შესაბამისი რაიონული/საქალაქო, სააპელაციო, უზენაესი სასამართლოს მოხელე ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს გადაწყვეტილებაში პერსონალურ მონაცემთა/კომერციულ/სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვა. გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება გადაწყვეტილებაში ზემოხსენებული ინფორმაციის დაცვის კანონთან შესაბამისობის საკითხის დამატებით შემოწმება. გარდა ამისა, პროექტით არ არის

გათვალისწინებული რა ხდება მაშინ, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი გარკვეული ინფორმაციის დაფარვას ან გამჟღავნებას კანონთან შეუსაბამოდ მიიჩნევს და რა პროცედურით გადაწყდება აღნიშნული საკითხი.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული ჩანაწერი გამოიწვევს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამოსაქვეყნებელი გადაწყვეტილებების დიდი რაოდენობის დაგროვებას, რამაც შეიძლება გამოქვეყნების პროცესი შეაფერხოს. გაცილებით უფრო ეფექტური იქნება, თუ გადაწყვეტილებების სათანადო დამუშავების შემდეგ, სასამართლოს მოხელე თავად უზრუნველყოფს მის განთავსებას საჯარო მონაცემთა ბაზაში. შედეგად, სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება მოხდება არაგონივრული დაყოვნების გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში დამუშავებული მონაცემების სისწორეზე პასუხს აგებს შესაბამისი რაიონული/საქალაქო, სააპელაციო, უზენაესი სასამართლოს მოხელე, საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მხრიდან გადამოწმების აუცილებლობა არ არის. ასევე, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებაში პერსონალური მონაცემების დაშტრიხვა არ იყოს მოსამართლის ვალდებულება.

გარდა ამისა, პროექტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებას წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების წაშლის ადმინისტრირებაც, თუმცა, არ არის განმარტებული რა შემთხვევაში ხდება გამოქვეყნებული გადაწყვეტილების წაშლა. წაშლის შესაძლებლობა ასევე ეწინააღმდეგება პროექტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად არ დაიშვება სასამართლო გადაწყვეტილებების ამორიცხვა რეესტრიდან.

### სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობა

წარმოდგენილი პროექტის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლო მოხელე უფლებამოსილია დაეხმაროს მოქალაქეს მოთხოვნის დაზუსტებაში, ან მიაწოდოს მას საჭირო ინფორმაცია სასამართლოში ინფორმაციის გაცემისას საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტების თაობაზე. მოქმედი კანონმდებლობით კი ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარების გაწევის ვალდებულება აკისრია, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროექტის აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან და სამართლებრივი დახმარების გაწევა იყოს არა სასამართლოს უფლებამოსილება, არამედ მოვალეობა.

## სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერა

წარმოდგენილი პროექტის მე-4 მუხლი ეხება სასამართლო პროცესის ფოტოგადაღებას, კინო-, ვიდეო და აუდიო ჩაწერას. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, შესაბამისად, გაუგებარია რა მიზანს ემსახურება კანონის იდენტური ჩანაწერის არსებობა „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესში“, რომლის რეგულირების სფერო მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას მოიცავს.

გარდა ამისა, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი მნიშვნელოვნად ზღუდავს სასამართლოს მიერ პროცესის სრულყოფილად ჩაწერის შესაძლებლობას და შემდეგ დათქმას აკეთებს: „სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა სასამართლო პროცესის აუდიო/ვიდეო ჩაწერა სხდომის დარბაზში საამისოდ დამონტაჟებული აპარატურით, რომელიც განთავსებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ იღებდეს მოსამართლის და პროცესის მონაწილე მხარეების პერიმეტრს და არ იძლეოდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღების შესაძლებლობას“. აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რადგან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი მოწმისა და დაზარალებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გადაღებაზე შეზღუდვას უწესებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და საზოგადოებას და არა თვითონ სასამართლოს. ორგანული კანონით გათვალისწინებული დათქმის მიზანია მოწმისა და დაზარალებულის პერსონალური მონაცემების დაცვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამხელისგან და ამით მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რასაც უპირატესობა ენიჭება ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან მიმართებით. აღნიშნული შეზღუდვა ვერ გავრცელდება სასამართლოს მხრიდან პროცესის ჩაწერაზე, რადგან სასამართლოს მიერ აუდიო-, ვიდეო ჩაწერის მიზანი არ არის საზოგადოების ინფორმირება, განსხვავებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან ჩაწერისგან. სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა პროცესის აუდიო-, ვიდეო ჩაწერა, მათ შორის, დახურული სხდომის. ეს გარანტირებულია ორგანული კანონით და დაუშვებელია „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესი“ ეწინააღმდეგებოდეს ორგანულ კანონს.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სასამართლო პროცესის გადაღება დარეგულირებული იყოს მხოლოდ ორგანული კანონით და სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესიდან ამოღებულ იქნას მე-4 მუხლი.

## სასამართლო გადაწყვეტილების ასლის ხელმისაწვდომობის საფასური

წარმოდგენილი პროექტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სასამართლო გადაწყვეტილების ასლის ხელმისაწვდომობისთვის საფასური დადგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის # 1/125 გადაწყვეტილებით.“

გაუგებარია, რომელ გადაწყვეტილებაზე არის საუბარი, რადგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ამგვარი გადაწყვეტილება არ იძებნება. გარდა ამისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა. შესაბამისად, ასლის მიღებისას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთადერთი საფასური დაკავშირებულია ასლის გადაღებასთან, ხოლო მოსაკრებლის ოდენობას ადგენს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის დამატებითი რეგულირების საჭიროება არ არსებობს.

### სასამართლო ხელისუფლების ოფიციალური ვებ-გვერდით თავისუფალი სარგებლობის უფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

წარმოდგენილი პროექტის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ოფიციალური ვებ-გვერდით თავისუფალი სარგებლობის უფლების შეზღუდვა არ დაიშვება, გარდა ამ დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თუმცა, პროექტით აღნიშნული შემთხვევები გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, გაუგებარია, რა შეიძლება დაედოს საფუძვლად ოფიციალური ვებ-გვერდით თავისუფალი სარგებლობის უფლების შეზღუდვას.

გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ შესაძლოა უარი განაცხადოს სასამართლო გადაწყვეტილების გაცემაზე თუ იგი შეიცავს სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო დახურულ სხდომაზე განიხილავს, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზანი შეიძლება სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვას დაედოს საფუძვლად. აგრეთვე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო დახურულ სხდომაზე განიხილავს.

დახურულ სხდომაზე განხილული საქმის გადაწყვეტილების გამოქვეყნებისა და გაცემის ვალდებულება არ არსებობს, შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი აზრს მოკლებულია. თუ სხდომა ნაწილობრივ იყო დახურული, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში უნდა დაიფაროს საიდუმლო ინფორმაცია და ამგვარად გაიცეს მისი ასლი.

### სამართლებრივი ნორმების დუბლირება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის N1/225 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი, რომელიც ითვალისწინებს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას. წარმოდგენილი „სასამართლო

აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესის“ პროექტის მე-3 მუხლშიც საუბარია სასამართლო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე, თუმცა, აღნიშნული მუხლი არ ითვალისწინებს ყველა იმ ინფორმაციას, რაც აღნიშნულია 1/225 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ნუსხაში. გაუგებარია, აღნიშნული მუხლით ხელახლა რეგულირდება პროაქტიული გამოქვეყნების საკითხი, თუ ზემოხსენებული N1/225 გადაწყვეტილებაც რჩება ძალაში.

ნორმათა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესი“ ფოკუსირებული იყოს მხოლოდ სასამართლო აქტებზე (რაც ასევე უზრუნველყოფს აქტის შინაარსის შესაბამისობას მის სათაურთან და რეგულირების სფეროსთან), ხოლო სხვა სახის ინფორმაციის (სტრუქტურა და ფუნქციები, ხელმძღვანელი პირები, საკადრო უზრუნველყოფა და ა.შ.) პროაქტიული გამოქვეყნება დარეგულირდეს ზემოხსენებული N1/225 გადაწყვეტილებით, რომელიც დეტალურად ფარავს გაცილებით უფრო მეტ საჯარო ინფორმაციას, ვიდრე წარმოდგენილი პროექტის მე-3 მუხლი.

გარდა ამისა, ნორმის დუბლირება ხდება წარმოდგენილი პროექტის მე-2 მუხლის პირველ პუნქტშიც, რომელიც ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნას ითვალისწინებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (სზაკ) 36-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნორმის იდენტური ჩანაწერის გათვალისწინების საჭიროება არ არსებობს.

გარდა ამისა, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნულია: „მოქალაქეს უფლება აქვს არ მიუთითოს განცხადებაში მოთხოვნის მოტივი და მიზანი სასამართლო აქტის ასლის ხელმისაწვდომობის თაობაზე განცხადების წარდგენისას“, რაც ასევე გარანტირებულია სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით, შესაბამისად, გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება ნორმის დუბლირება.

გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტის მე-17 მუხლი, რომელიც არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვას ეხება, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის იდენტურია.

### კანონთან შეუსაბამო მოთხოვნები

მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობას, არ ადგენდეს დამატებით მოთხოვნებს, რომელიც იმგვარად ზღუდავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული. ვინაიდან

კანონქვემდებარე აქტი მიიღება საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად, ის არ შეიძლება კანონს ეწინააღმდეგებოდეს.

მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არაგონივრულად დიდი მოცულობისაა ან თუ მისი დამუშავება/გაცემა საჭიროებს არაპროპორციული რესურსის დახარჯვას, რაც არსებითად შეაფერხებს სასამართლოს მუშაობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს. აქედან გამომდინარე, საბჭოს გადაწყვეტილებით არ შეიძლება განისაზღვროს დამატებით შეზღუდვები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. სასამართლო მუშაობის შეფერხება არ შეიძლება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნილი ფორმით მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს. ამგვარი ფართო ჩანაწერი სასამართლოს შესაძლებლობას მისცემს თავი აარიდოს არასასურველი ინფორმაციის გაცემას და ამის მიზეზად დაასახელოს მოქმედი კანონმდებლობისათვის უცნობი საფუძველი - დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება.

პროექტის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ განმცხადებლის მიერ წარდგენილი მოთხოვნა ბუნდოვანია, ან არასაკმარისად არის მითითებული ინფორმაცია, რაც გააძნელებს სასამართლო გადაწყვეტილების ასლის მოძიებას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისგებელ პირს, განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს განმცხადებელს მისი დაზუსტება და განუსაზღვროს არანაკლებ 5 დღის ვადა მის გამოსასწორებლად. სასამართლო მოხელე უფლებამოსილია დაეხმაროს მოქალაქეს მოთხოვნის დაზუსტებაში, ან მიაწოდოს მას საჭირო ინფორმაცია სასამართლოში ინფორმაციის გაცემისას საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტების თაობაზე. სასამართლო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით გააგრძელოს განცხადების დაზუსტების ვადა.“ ბუნდოვანია, რა მიზანი აქვს აღნიშნული ვადების მითითებას წარმოდგენილ დოკუმენტში. გაუგებარია, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს საჯარო ინფორმაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან აღნიშნული ვადის გაშვებას, რადგან მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არ არის აკრძალული მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის შემდგომი დაზუსტება/დაკონკრეტება/დავიწროება და ეს უფლება ვადებით შეზღუდული არ არის.



## სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან რეესტრში განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მოსამართლეებისათვის

მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებების საჯარო ბაზაში ყველა ინფორმაციული რესურსი ხელმისაწვდომია მოსამართლეებისათვის, თუ იგი უშუალო კავშირშია მის წარმოებაში არსებულ კონკრეტულ საქმესთან.

სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზა ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, მათ შორის, მოსამართლისათვის. სავარაუდოდ, აღნიშნული მუხლის მიზანია უზრუნველყოს მოსამართლისათვის იმ სასამართლო გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობა, რომელიც შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია, როცა ხდება მონაცემთა დამუშავება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა სავალდებულო არ არის. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი მოქმედი კანონმდებლობით უკვე დარეგულირებულია.

## სასამართლო გადაწყვეტილების ტექსტის გავრცელება და სხვაგვარი გამოყენება

ერთიან ბაზაში გამოქვეყნებული სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს ყველასათვის ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციას, რაც თავისთავად გულისხმობს მისი შემდგომი გავრცელებისა და გამოყენების უფლებას. შესაბამისად, მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების არსებობა „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესში“ საჭირო არ არის.

## გასაჩივრება

წარმოდგენილი პროექტის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინფორმაციის გაცემაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით. გაუგებარია, რა იგულისხმება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, როდესაც საქმე ეხება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ასლის გაცემაზე უარის თქმას. ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრების შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობით უკვე დარეგულირებულია.

### პასუხისმგებლობა დადგენილი წესების დარღვევისთვის

წარმოდგენილი პროექტის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის წარმოების წესების დარღვევა, აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილების, სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. გაუგებარია, რა სახის პასუხისმგებლობას გულისხმობს აღნიშნული ჩანაწერი. ასევე, თუ წარმოდგენილ დოკუმენტს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, რამდენად არის შესაძლებელი მასში ასახული ნორმების დარღვევა გახდეს პასუხისმგებლობის საფუძველი.

### პროპორციულობის პრინციპი სასამართლო გადაწყვეტილებების მოთხოვნის საფუძველზე გაცემისას

მნიშვნელოვანია, „სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის წესმა“ გაითვალისწინოს პროპორციულობის ზოგადი პრინციპი, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს. აღნიშნული პრინციპის გამოყენებით, სასამართლო აქტის მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს არსებობს თუ არა საჯარო ინტერესი, ენიჭება თუ არა მას უპირატესობა პერსონალური მონაცემის დაცვის ინტერესთან მიმართებით და აღნიშნული შეფასების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების მითითებით გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.